სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა 18 მაისი 2012 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| თეიმურაზ აბაშიძე | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე; |
| ლერი ტყემალაძე | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| ქეთევან ეკალაძე | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი; |
| სოფიო ბოჭორაძე | – | ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი; |
| ილია ჯიშკარიანი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი; |

ილია ციციშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

მერაბ თუხარელი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

ზურაბ მარსაგიშვილი – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 4 მაისს გამოცხადებულ №454 კონკურსზე „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძალისში საჭიდაო ღია არენის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე **კონკურსანტის შპს „ბათო+"-ის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის **შპს „ბათო+"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საგადახდო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში

მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლით" განსაზღვრული მონაცემებს.

კომისიამ დაადგინა:

შპს „ბათო+" გამოვლინდეს გამარჯვებულად და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდ დღეში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტოპოგრაფიული გეგმის და ორთოფოტოს გათვალისწინებით, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ჭ. ვკალაძე

კომისიის წევრები
ნ. ბოჭორაძე
ი. ჯიშკარიანი
ზ. მარსაგიშვილი
გ. პაპაშვილი
ი. ციციშვილი
მ. თუხარელი
ი. ოდიშელიძე